



## შეთანხმება

იულიხის კვლევით ცენტრსა (იულიხი)

და

სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს (ფონდი)

შორის

დოქტორანტებისა და მაგისტრანტებისათვის

იულიხ-საქართველოს

ერთობლივად დაფინანსებული პროგრამის შესახებ

სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა (შემდგომში – „ფონდი“) და იულიხის კვლევით ცენტრს (შემდგომში – „იულიხი“) შორის 2020 წლის

ივლისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე, მხარეები თანხმდებიან ერთობლივი კვლევითი-საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში – „პროგრამა“) გაგრძელებისა და განახლების თაობაზე.

### **1. ხელშეკრულების საგანი**

მხარეები თანხმდებიან განახორციელონ ერთობლივი კვლევითი-საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს გერმანიასა და საქართველოს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, ასევე უზრუნველყოფს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტიდან, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტიდან ან საქართველოს სხვა უნივერსიტეტიდან (იულისთან შეთანხმებით) წარდგენილი მაგისტრანტებისა და დოქტორანტების სამეცნიერო სტაჟირებას იულისში.

სამართლებრივი საფუძველი:

- იულისის კვლევით ცენტრსა და სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს შორის 2020 წლის ივლისის „კვლევის, განათლებისა და ცოდნის გადაცემის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ ურთიერთგაგების მემორანდუმი – დანართი 1;
- 2020 წლის 30 აპრილის ურთიერთგაგების მემორანდუმი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და იულისს შორის „გრძელვადიანი სამეცნიერო და საგანმანათლებლო თანამშრომლობის შესახებ ქართულ-გერმანული სამეცნიერო ხიდის ფარგლებში“; – დანართი 2;
- 2016 წლის მაისის ცვლილება შეთანხმებაში შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და იულისის კვლევით ცენტრს შორის „დოქტორანტებისა და მაგისტრანტებისთვის იულის - საქართველოს ერთობლივად დაფინანსებული პროგრამის შესახებ“ – დანართი 3.

### **2. პროგრამის მიზნები და ამოცანები:**

2.1 პროგრამის მიზნებია:

- მიეცეთ ქართველ სტუდენტებს შესაძლებლობა, ესტუმრონ მსოფლიოში წამყვან კვლევით ცენტრს გამოცდილების მისაღებად და წარმართონ უახლესი, მაღალი დონის კვლევები, როგორც ფუნდამენტური, ისე გამოყენებითი მიმართულებით.

- ხელი შეუწყოს იულისს, რათა საქართველოს უნივერსიტეტებიდან მოიზიდოს საუკეთესო სტუდენტები სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებისთვის საჭირო კვლევების განსახორციელებლად, საქართველოს სამეცნიერო პოტენციალის შემდგომი განვითარებისთვის.

სტაჟირებიდან საქართველოში დაბრუნების შემდგომ, იულისში მიღებული ცოდნა და გამოცდილება ქართველმა სტუდენტებმა გამოიყენონ და გაავრცელონ ადგილობრივ უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებში.

## 2.2 პროგრამის ამოცანები:

ფონდისა და იულისის დაფინანსება ქართველ მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს შესაძლებლობას მისცემს, იულისში სტაჟირების ფარგლებში განახორციელონ მათ სადიპლომო/სადისერტაციო ნაშრომების მომზადებასთან დაკავშირებული კვლევები, ასევე დაამყარონ გრძელვადიანი თანამშრომლობა იულისისა და გერმანიის სხვა სამეცნიერო ცენტრების თუ უნივერსიტეტების მეცნიერებთან შემდეგ შეთანხმებულ კვლევით სფეროებში:

ა) მათემატიკური მეცნიერებები;

ბ) საინფორმაციო ტექნოლოგიები;

გ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;

დ) საინჟინრო მეცნიერებები;

ე) სიცოცხლის შემსწავლელი და სამედიცინო მეცნიერებები.

## 2.3 პროგრამის სამიზნე ჯგუფები:

2.3.1 ბაკალავრის ხარისხის მქონე (ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირები) მაგისტრანტები, წელიწადში არაუმეტეს სამისა, რომლებიც ჩაატარებენ იულისში ან გერმანულ უნივერსიტეტებში (რომლებიც თანამშრომლობენ იულისთან) სამაგისტრო